



## პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი

გადაწყვეტილება №გ-1/236/2015

ლ.ბ.-ს განცხადებასთან დაკავშირებული განხილვის დასრულების შესახებ

ქ. თბილისი

28/12/2015

განმცხადებელი - ლ.ბ. (პირადი №\*\*\*\*\*)

მოთხოვნა - შპს „ა“-ს (ს/კ \*\*\*\*\*) მიერ განმცხადებლის ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის დამუშავების კანონიერების შესწავლა.

### აღწერილობითი ნაწილი

2015 წლის 29 ოქტომბერს ლ.ბ.-მ განცხადებით მომართა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს. მოქალაქე განცხადებაში მიუთითებდა, რომ შპს „ა“-სგან სასამართლო დავის ფარგლებში მისთვის ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული კომპანია ფლობდა მისი ნასამართლობის შესახებ ინფორმაციას. მოქალაქე მიუთითებდა, რომ მისი პატიმრობა საქართველოს პარლამენტმა სცნო უკანონოდ, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ აღიარებული იყო პოლიტპატიმრად. თბილისის სააპელაციო სასამართლოში მის მიმართ კვლავ მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმის განხილვა და შპს „ა“-ს და მის წარმომადგენელს ო.ს.-ს, მისი თანხმობის გარეშე ამ ინფორმაციის გავრცელების უფლება არ ჰქონდათ. მოქალაქე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისგან ითხოვდა შპს „ა“-ს მიერ მისი ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების და დამუშავების კანონიერების შესწავლას და შესაბამის რეაგირებას. განცხადებას თან ერთვოდა შპს „ა“-ს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი სარჩელის ასლი, სადაც მითითებულია, რომ ლ.ბ. 2011 წლის \*\* \*\*\*\*\*-ის სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, კერძოდ, პატიმრობა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მიერ. აღნიშნულ სარჩელში შპს „ა“-ს წარმომადგენლად მითითებულია ო.ს.-ს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2015 წლის 30 ოქტომბრის №გ-1/171/2015 გადაწყვეტილების საფუძველზე, ლ.ბ.-ს განცხადება განსახილველად იქნა მიღებული, ხოლო განცხადებაში მითითებული გარემოებების შესწავლის მიზნით, გამოთხოვილ იქნა

ინფორმაცია შპს „ა“-სგან, კერძოდ, როდის და საიდან გახდა ლ.ბ.-ს ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია ცნობილი შპს „ა“-სთვის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული რომელი საფუძვლით მოხდა აღნიშნული ინფორმაციის დამუშავება.

შპს „ა“-ს 2015 წლის 09 ნოემბრის №01/739 საპასუხო წერილის თანახმად, კომპანიისთვის ლ.ბ.-ს ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია მიწოდებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2015 წლის 25 აგვისტოს №20088 წერილით. შპს „ა“-მ ინსპექტორის აპარატში წარმოადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ზემოაღნიშნული წერილი და განაჩენის ასლი. აღნიშნული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სასამართლომ მოქალაქე ო.ს.-ს საჯარო ინფორმაციის სახით გაუგზავნა სისხლის სამართლის კოლეგიის 2011 წლის \*\* \*\*\*\*-ის №\*/\*\*\*\*-\*\* განაჩენის ასლი, რომელშიც ლ.ბ.-ს მაიდენტიფიცირებელი მონაცემები არის დამტრიხული.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა, დამატებით 2015 წლის 11 ნოემბერს №1035/01 წერილით მიმართა შპს „ა“-ს და მოითხოვა ინფორმაცია, გარდა სასამართლოში სამოქალაქო საქმეზე მტკიცებულებების სახით წარდგენისა, მოხდა თუ არა ამ მონაცემების სხვა სახით დამუშავება, მაგალითად, მათი გამოყენება სხვა მიზნით ან გამჟღავნება მესამე პირებისათვის.

შპს „ა“-ს 2015 წლის 16 ნოემბრის №157 საპასუხო წერილში აღნიშნულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემული განაჩენის ასლი არ გადაუცია სხვა პირებისთვის. თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ საჩივარში კომპანიამ მიუთითა მხოლოდ საქმის ნომერი, რიცხვი, თვე და წელი, ასევე, საქმის განმხილველი მოსამართლის სახელი და გვარი და ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაცია.

საქმის გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, ინსპექტორის აპარატის მიერ გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია სასამართლოსაგან ლ.ბ.-ს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების, მათ შორის, მესამე პირებზე გაცემის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ინსპექტორის აპარატში 2015 წლის 20 ნოემბერს წარმოდგენილი №\*\*\*\*\* (რეგ.: 01/782) წერილიდან ირკვევა, რომ 2015 წლის \*\* აგვისტოს სასამართლოს განცხადებით მიმართა მოქალაქე ო.ს.-მ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 20-ე, 37-ე, 38-ე და 40-ე მუხლების შესაბამისად, მოითხოვა სისხლის სამართლის №\*/\*\*\*\*-\*\* საქმეზე მსჯავრდებული ლ.ბ.-ს მიმართ გამოტანილი განაჩენის ასლის გადაცემა. სასამართლოს 2015 წლის \*\* აგვისტოს წერილობითი პასუხით, განმცხადებელს საჯარო ინფორმაციის სახით, გაეგზავნა ზემოაღნიშნული განაჩენის ასლი, პერსონალური მონაცემების გარეშე - დამტრიხული სახით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს დამატებით ეთხოვა ო.ს.-ს მიერ 2015 წლის \*\* აგვისტოს სასამართლოსათვის წარდგენილი განცხადების ასლის წარმოდგენა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 14 დეკემბრის №1-06287/29909 წერილით წარმოდგენილი იქნა ო.ს.-ს 2015 წლის \*\* აგვისტოს განცხადების ასლი, საიდანაც ირკვევა, რომ ო.ს.-მ სასამართლოსგან მოითხოვა მსჯავრდებულ ლ.ბ.-ზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 2011 წლის \*\* \*\*\*\*\*-ის განაჩენის ასლი დაშტრიხული სახით. ამავე წერილში სასამართლო მიუთითებს, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის შესაბამისად, ინსპექტორის მიერ უფლებამოსილი პირი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს და საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. აღნიშნული კოდექსის 232-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, რადგან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სავარაუდო ჩადენიდან გასულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული ვადა (2 თვე), ეს გარემოება გამორიცხავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებას, რის გამოც წარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს. აღნიშნულის გამო, ინსპექტორმა არ უნდა მოახდინოს შესაძლო სამართალდარღვევის ფაქტის სამართლებრივი შეფასება.

სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ გაცემულ იქნა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების ასლი დაშტრიხული სახით, რომლითაც დასტურდება, რომ ლ.ბ. კონკრეტული საქმის განხილვის დროს წარმოადგენდა ნასამართლობის არ მქონე პირს, ხოლო რადგან მიღებული განაჩენი ექვემდებარება განხილვას ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში, აქედან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, მითუმეტეს დაშტრიხული სახით, არ არის საკმარისი პირის ნასამართლევად ცნობისთვის და შესაბამისად, ვერ იქნება მიჩნეული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემად.

### **სამოტივაციო ნაწილი**

ლ.ბ.-ს მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში წარმოდგენილი განცხადების და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ინსპექტორმა იმსჯელა შპს „ა“-ს და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ლ.ბ.-ს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების კანონიერების საკითხზე.

#### *1. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ლ.ბ.-ს შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გაცემის გზით დამუშავების კანონიერება*

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან თუ სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და

თავისუფლებების დასაცავად. ამდენად, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული პირის შესახებ ინფორმაცია დაცულია მესამე პირთათვის გამჟღავნებისგან, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა.

პირის ინტერესს - დაცული იყოს მისი კერძო ინფორმაცია და თავად აკონტროლოს ამ ინფორმაციის გავრცელება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ერთერთ უმთავრეს ასპექტად მიიჩნევს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული მონაცემები, რომლებიც შეეხება ისეთ კერძო საკითხებს, როგორცაა ჯანმრთელობა, ფინანსები და ა.შ. წარმოადგენს ავტომატურად გასაიდუმლოებულ ინფორმაციას და კონსტიტუციით დადგენილია მისი განსაიდუმლოების კონკრეტული შემთხვევები. კერძოდ, თუ არსებობს პირის თანხმობა, ვისაც ეს ინფორმაცია შეეხება. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სხვა შემთხვევები კანონით უნდა იყოს დადგენილი და აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად (*საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის #2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II. პ. 13*).

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიზანია, პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა, ადგენს პერსონალური მონაცემების, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების ცნებასა და დამუშავების საფუძვლებს. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს. ამავე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემი უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. კანონის მე-6 მუხლის თანახმად, ასეთი მონაცემების დამუშავება, მათ შორის გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, აკრძალულია და დაიშვება მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით ან ამავე პუნქტით დადგენილ შემთხვევებში. აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტი კი ადგენს, რომ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გასაჯაროება და მესამე პირისათვის გამჟღავნება დაუშვებელია მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე.

ასეთივე დანაწესს ადგენს „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს 1981 წლის 28 იანვრის კონვენციის მე-6 მუხლი, რომლის თანახმად სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული მონაცემები, სხვა სპეციალური კატეგორიისადმი კუთვნილ მონაცემებთან

ერთად (რასობრივი წარმავლობა, პოლიტიკური, რელიგიური ან სხვა მრწამსი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სექსუალური ცხოვრება) არ ექვემდებარება დამუშავებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადგილობრივი კანონმდებლობა უზრუნველყოფს მათი დაცვის შესაბამის გარანტიებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის და განცხადების განხილვის, ადმინისტრაციული გარიგების მომზადების, დადებისა და შესრულების წესს, ადგენს ადმინისტრაციული ორგანოებში დაცული ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. 44-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემების ცნება, მათ დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით. ინფორმაციის გაცემის დროს, როდესაც სასამართლო არ მოქმედებს სამართალწარმოების მიზნით, ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა შესაბამისი აქტებით. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს, 2015 წლის \*\* აგვისტოს პირის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გაცემისას, უნდა ეხელმძღვანელა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით და ლ.ბ.-ს შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების მესამე პირისათვის გამჟღავნება უნდა მოეხდინა მონაცემთა სუბიექტის თანხმობით. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს ლ.ბ.-სგან ამგვარი თანხმობა არ მოუპოვებია.

სასამართლოს ასევე არ შეუფასებია ის გარემოება, თუ რამდენად იძლეოდა მის მიერ შერჩეული ფორმით ინფორმაციის გაცემა პირის იდენტიფიცირების საშუალებას. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით. შპს „ა“-ს და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა, რომ 2015 წლის \*\* აგვისტოს, ინფორმაციის მომთხოვნს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის \*\* \*\*\*\*\*-ის №\*/\*\*\*\*-\*\* განაჩენი

გადაეცა დაშტრიხული სახით. კერძოდ, ლ.ბ.-ს სახელის და გვარის დაფარვით, შესაბამის ადგილებში მითითებული იყო მისი ინიციალები ლ-ა ბ-ე. მიუხედავად დაშტრიხული ფორმით ინფორმაციის გაცემისა, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში, ო.ს.-მ თბილისის საქალაქო სასამართლოსგან მოითხოვა კონკრეტული ფიზიკური პირის - ლ.ბ.-ს მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 2011 წლის \*\* \*\*\*\*\*-ის განაჩენი, ხოლო სასამართლომ ინფორმაციის მომთხოვნს, გადასცა მოთხოვნილი ინფორმაცია განცხადებაში მითითებული პირის შესახებ. ამდენად, მხოლოდ ის ფაქტი, რომ სასამართლოს განაჩენში დაშტრიხული იყო მონაცემთა სუბიექტის ვინაობა, ვერ იქნება მიჩნეული დეპერსონალიზებული ფორმით ინფორმაციის გაცემის შემთხვევად. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა დეპერსონალიზაცია არის მონაცემთა იმგვარი მოდიფიკაცია, რომ შეუძლებელი იყოს მათი დაკავშირება მონაცემთა სუბიექტთან ან ასეთი კავშირის დადგენა არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას, ხარჯებსა და დროს საჭიროებდეს. აღწერილ შემთხვევაში ინფორმაციის მიმღებს, რომელმაც მოითხოვა კონკრეტული პირის მიმართ გამოტანილი განაჩენის ასლი, შეეძლო მარტივად, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე, განაჩენში მითითებული ინიციალის ფიზიკურ პირთან (ლ.ბ.-სთან) დაკავშირება და ამგვარად - მისი იდენტიფიცირება. სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნებისათვის აუცილებელი არ არის მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირება მაღალი სიზუსტით. საკმარისია სუბიექტი იყოს იდენტიფიცირებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ, როგორც ამას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტი განსაზღვრავს.

ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2015 წლის 22 ივლისის №გ-1/101/2015 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს დაევალა, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არარსებობისას, უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გაცემა დეპერსონალიზებული ფორმით იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს პირის იდენტიფიცირება პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით, რაც განსახილველ შემთხვევაში არ იქნა უზრუნველყოფილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს პოზიცია, რომ სასამართლოს მიერ გაცემულ იქნა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი, რომელიც ექვემდებარება განხილვას ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, დაშტრიხული სახით, არ არის საკმარისი პირის ნასამართლეად ცნობისთვის და შესაბამისად, არ უნდა იქნას მიჩნეული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის დამუშავებად, ვერ იქნება გაზიარებული. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების

დადებასთან, წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემს. სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული მონაცემები მონაცემთა სპეციალურ კატეგორიას განეკუთვნება „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს 1981 წლის 28 იანვრის კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად.

ო.ს.-სთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2015 წლის \*\* აგვისტოს გადაცემული 2011 წლის \*\* \*\*\*\*\*-ის განაჩენში მითითებულია - „ლ-ა ბ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის III ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით... და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:... თავისუფლების აღკვეთა 3 (სამი) წლის ვადით, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ნაწილი 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვროს სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოხდით, ხოლო სასჯელის დარჩენილი ნაწილი - 1 (ერთი) წელი, ჩათვალოს პირობით...“. აქედან გამომდინარე, ცალსახაა, რომ განაჩენში მითითებული ინფორმაცია პირის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს განეკუთვნება.

ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2015 წლის \*\* აგვისტოს მოახდინა ლ.ბ.-ს შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება, კერძოდ, გაცემა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით დადგენილი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რაც იწვევს პასუხისმგებლობის დაკისრებას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

ამავე კანონის 55-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ინსპექტორის მიერ უფლებამოსილი პირი საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით კი, ადმინისტრაციული სახდელი პირს შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია – არა უგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან. ვინაიდან, თბილისის საქალაქო სასამართლოს მხრიდან განმცხადებლის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების საფუძვლის გარეშე გაცემას ადგილი ჰქონდა 2015 წლის \*\* აგვისტოს, ინსპექტორი სამართალდარღვევის ჩადენის ხანდაზმულობიდან გამომდინარე მოკლებულია შესაძლებლობას დააკისროს მონაცემთა დამუშავებელს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ინსპექტორის აპარატს ასევე მიუთითა, რომ განსახილველი შემთხვევის თარიღიდან გასულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული ვადა და აღნიშნული კოდექსის 232-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ეს გარემოება გამორიცხავს

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებას, რის გამოც წარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს. აღნიშნულის გამო, ინსპექტორს არ უნდა მოეხდინა სამართალდარღვევის ფაქტის სამართლებრივი შეფასება.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, თუ ინსპექტორი აღმოაჩენს ამ კანონის ან მონაცემთა დამუშავების მარეგულირებელი სხვა ნორმატიული აქტების დარღვევას, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს დარღვევისა და მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებების მის მიერ მითითებული ფორმით და მითითებულ ვადაში გამოსწორება და ამავე პუნქტით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების გატარება. აქედან გამომდინარე, გარდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებისა, მოქალაქის განცხადების განხილვის ან ინსპექტირების შედეგად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი უფლებამოსილია გამოიყენოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლით გათვალისწინებული ზომებიც. ამგვარად, მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადის გასვლა, არ წარმოადგენს საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველს.

## *2. შპს „ა“-ს მიერ ლ.ბ.-ს შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების კანონიერება*

ლ.ბ.-ს განცხადების განხილვის ფარგლებში, განმცხადებლის და შპს „ა“-ს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან დგინდება, რომ კომპანიამ განმცხადებლის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება მოახდინა სასამართლოში სამართალწარმოების მიზნებისათვის. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შპს „ა“-ს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ სარჩელში მითითებულია, რომ ლ.ბ.-ს 2011 წლის \*\* \*\*\*\*\*-ს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, კერძოდ, პატიმრობა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მიერ. ამავე სარჩელში შპს „ა“-ს წარმომადგენლად მითითებულია ო.ს., რომელმაც თბილისის საქალაქო სასამართლოსგან მოიპოვა აღნიშნული ინფორმაცია.

შპს „ა“ განმარტავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემული განაჩენის ასლი არ გადაუცია სხვა პირებისთვის. თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ საჩივარშიც კი, კომპანიამ მიუთითა მხოლოდ საქმის ნომერი, რიცხვი, თვე და წელი, ასევე, საქმის განმხილველი მოსამართლის სახელი და გვარი და ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაცია.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება სასამართლოში სამართალწარმოების მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავებაზე, რადგან ამან შეიძლება



დააზიანოს სამართალწარმოება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამდენად, შპს „ა“-ს მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევა არ ვლინდება.

რაც შეეხება ლ.ბ.-ს მითითებას განცხადებაში, რომ შპს „ა“-ს ქმედება მიმართულია მის დისკრიმინაციასა და დისკრედიტაციაზე და წარმოადგენს მისი პატივისა და ღირსების შემლახავ ქმედებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. ამდენად, განსახილველი შემთხვევა სცდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის კომპეტენციას და წარმოადგენს მხოლოდ სასამართლოს განხილვის საგანს.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-3, მე-6, 27-ე, 34-ე, 39-ე, 45-ე და 55-ე მუხლების და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობისა და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 ივლისის №180 დადგენილების მე-10 და მე-13 მუხლების საფუძველზე,

#### **ინსპექტორმა გადაწყვიტა:**

1. დასრულდეს ლ.ბ.-ს 2015 წლის 29 ოქტომბრის №01/698 განცხადებასთან დაკავშირებული საქმის განხილვა და ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
2. თბილისის საქალაქო სასამართლომ არაუგვიანეს 2016 წლის 01 თებერვლისა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2015 წლის 22 ივლისის №გ-1/101/2015 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის შესაბამისად გატარებული ღონისძიებების შესახებ;
3. ეცნობოს თბილისის საქალაქო სასამართლოს და შპს „ა“-ს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
4. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში.

#### **თამარ ქალდანი**

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი